5-24
34(05)
5-24
296.



კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის იანვრის 16	№ 1. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციების წესის თაობაზე გამოცემული ცირკულიარების გაუქმების შესახებ.

„ 2. ტყავის საქონლის ფასის წანამატის შესახებ.

„ 3. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/კსფსრ შავიზღვის პორტებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაო სასყიდლის ნორმის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

„ 4. შრომის კანონთა კოდექსის 171 მუხ. შეცვლის შესახებ.

„ 5. ქალალდისა და პოლიგრაფიულ მრეწველობასა და მათი პროდუქტების საბითუმო ვაჭრობაში მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

„ 6. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საადგილმამულო მეურნეობაში მეტრულ საზომ-საწონთა შემოღების შესახებ.

„ 7. ფოთოლ-თამბაქოს საწყობებში სამუშაო დროის შესახებ.

„ 8. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გამნაწილებელი საუწყებათაშორისო კომისიების ფუნქციების შესახებ.

„ 9. ნედლი სპირტის რექტიფიკაციის სასყიდლის შესახებ.

„ 10. აღწერაზე დროებით მომუშავეთათვის მისაცემი გასამრჯელოს განთავისუფლების შესახებ სოციალური დაზღვევისა და სტატისტიკური ორგანოების ადგილობრივი კომიტეტების შესანახად გადასადები ანარიცხისაგან.

„ 11. საწარმოთა ანგარიშებისა და ბალანსების განხილვის შესახებ.

დადგენილება აკსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციების თაობაზე გამოცემული ცირკულიარების გაუქმების შესახებ.

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

რადგანაც გამოიცა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის დეკემბრის 2-ს თარიღისა და 44 №-რის დადგენილება „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საჯარო ანგარიშგებისა და სავალდებულო პუბლიკაციების წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების გაუქმების შესახებ (გამოქვეყნებ. „ზარია ვოსტოკა-ს 1355 №-ში 1926 წ. დეკემბრის 15-ს), გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის შემდეგი ცირკულიარები:

1. წესები „საჯარო ანგარიშგების წესის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ, კერძო და შერეულ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთათვის, რომელთაც თავიანთი ცენტრები (გამგეობანი)აქვთ ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1923 წ. მე-12 №-რი, მუხ. 242)

2. საჯარო ანგარიშგების წესების დამატება—„დამატებითი წესები სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა საჯარო ანგარიშგების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1924 წ. მე-4 №-რი, მუხ. 80)

3. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის განმარტებანი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა საჯარო ანგარიშგების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1924წ. მე-6 ნომერი, მუხ. 225)

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის
სახელმწიფო შემოსავლის სამმართვ. უფროსი **ყალანთაროვი.**

1926 წ. დეკემბრის 28.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1370 №-ში 1927 წ. იანვრის 4-ს.

დადგენილება № 58|114 აკსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. დეკემბრის 31

2. ტყავის საქონლის ფასების წანამატის შესახებ.

ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქ. და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წლის სექტემბრის 3-ს თარიღის დადგენილების თანახმად, ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, თავისი, 1926 წ. აგვისტოს 31-ს თარიღისა და 40/96 №-რის, დადგენილების მე-2 მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებისა და მე-4 და 6 მუხ. შესაცვლელად და დასამატებლად ადგენს:

1. ტყავის საქონლის საბითუმო ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი იმ ფასებზე, რაც გათვალისწინებულია ა/კსსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აგვისტოს 31-ს თარიღისა და 40/96 №-რის დადგენილების პირველი მუხლით:

ა) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როცა იგი ტყავის საქონელს ცენტრალურ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა), აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ დამმზადებელ საწარმოთ და ფეხსაცმლის ფაბრიკებს მიჰყიდის სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესით)—3%; ხოლო სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის საწყობებში და განყოფილებებში გაყიდვით—4,5%;

ბ) სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატისათვის, როცა იგი ტყავის საქონელს სხვა ორგანიზაციებსა და პირებს მიჰყიდის: სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესით)—4%; სრულიად საკავშირო ტყავის სინდიკატის საწყობებში და განყოფილებებში გაყიდვით—5,5%;

გ) ცენტრალური სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციისათვის (საკავშირო, რესპუბლიკანური და საოლქო მასშტაბისა), როცა იგი საქონელს ყველა ამა თუ იმ ორგანიზაციას ან პირს მიჰყიდის სასაქონლო დოკუმენტების გადაცემით (სატრანზიტო ოპერაციების წესით)—4%; ხოლო საწყობებში გაყიდვით—5,5%;

2. რკინის გზისა და წყლის ფრახტი გაგზავნის სადგურიდან დანიშნულების სადგურამდე, აგრეთვე შარაგზით ტვირთზიდვის ტრანსპორტის ხარჯი 5 ვერსზე არაუმეტესი მანძილისა გაყიდვის ადგილიდან—მიემატება საგასაცემო ფასს ცალკე, ნამდვილი ღირებულების რაოდენობით; რკინის გზისა და წყლის ფრახტი გამოიანგარიშება 1926 წ. აპრილის 1-დე არსებული ტარიფის მიხედვით.

3. განსხვავება 1926 წ. აპრილის 1-დე არსებულ სარკინისგზო და წყლის ფრახტის ტარიფსა და ამ ჟამად მომქმედ ტარიფ შორის დაიფარება წარმოებითი ორგანოების ხარჯით, რისთვისაც შემცირებულ უნდა იქნეს ტყავის მრეწველობის საბითუმო საგასაცემო ფასები.

4. კერძო ვაჭრების მიერ წარმოებული ცალობითი ვაჭრობისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი იმ ფასებზე, რაც გათვალისწინებულია ა/კსსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წ. აგვისტოს 31-ს თარიღისა და 40/96 №-რის დადგენილებით: ქალაქად—27%; სოფლად—30%.

შენიშვნა. ამა დადგენილების მე-4 მუხ. აღნიშნულ წანამატში შედის რკინისგზისა და წყლის ფრახტის ღირებულება.

5 შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი**
საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1371 №-ში 1927 წ. იანვრის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

3. ა/კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შავიზღვის პორტებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაო სასყიდლის ნორმის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ა/კ. აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ შავიზღვის პორტებში დატვირთვისა და გადმოტვირთვის სამუშაო სასყიდლის ნორმის შესახებ 1926 წ. სექტემბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-5 მუხლის შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-11 №-რი, მუხ. 724), ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

აღნიშნული დადგენილების მე-5 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. განხორციელებულ იქნეს ამა დადგენილების საფუძველზე სასყიდლის კონკრეტული ნორმები და უნიფიციური განაკვეთები 1927 წლის აპრილის 1-დან".

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**
ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**
ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. დეკემბრის 27. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1372 №-ში 1928 წ. იანვრის 6-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

4. შრომის კანონთა კოდექსის 171 მუხ. შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის კანონთა კოდექსის 171 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„171. მომრიგებელ კამერას საქმე გადაეცემა მხარეთა შეთანხმებით. კოლექტიურ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეს მომრიგებელი კამერა მიიღებს მხოლოდ მას შემდეგ, უკეთუ იგი განხილულია შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში და არ იქნა გადაწყვეტილი. მომრიგებელ კამერაში საქმე გადასწყდება მარტოოდენ მხარეთა შეთანხმებით.

სამედიატორო სასამართლოს საქმე გადაეცემა მხარეთა ურთიერთი შეთანხმებით, როგორც უკვე განხილული მომრიგებელ კამერაში, ისე განუხილველი. უკეთუ კონფლიქტი აღიძრა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში— შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები მოაწყობენ სამედიატორო სასამართლოს კოლექტიური ხელშეკრულების დადებასა და განმარტების ნიადაგზე აღძრული დავის გადასაწყვეტად ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით: პროფესიონალური კავშირისა თუ სახელმწიფო დაწესებულებისა (საწარმოსი); ამ შემთხვევაში სამედიატორო სასამართლოს მიღება მეორე მხარისათვის სავალდებულოა.

უკეთუ კონფლიქტი იმდენად გამწვავებულია, რომ სახელმწიფოს საფრთხეს უქადის, სამშდიატორო სასამართლო შეიძლება დანიშნულ იქნეს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების (ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს, აგრეთვე ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, სახალხო კომისართა საბჭოებისა და ეკონომიურ თათბირთა) განსაკუთრებული დადგენილებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. დეკემბრის 27. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1372 №-ში 1927 წ. იანვრის 6-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავალდებულო დადგენილება № 12 ამსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1926 წ. დეკემბრის 22.

5. ქაღალდისა და პოლიგრაფიულ მრეწველობასა და მათი პროდუქტების საბითუმო ვაჭრობაში მეტრული სისტემის შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 53 №-რის დადგენილების მე-11 §-ს „გ" პუნ. თანახმად—ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს 1927 წ. იანვრის 15-დან მთლად ა/კსფსრ ტერიტორიაზე ქაღალდისა და პოლიგრაფიული მრეწველობის ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭრო და წარმოებითი საწარმოში ზომა-წონის მეტრული სისტემა საბითუმო ვაჭრობისათვის და აგრეთვე ყოველგვარი სავაჭრო ჩანაწერისა, ანგარიშწარმოებისა, კალკულაციისათვის და სხვ.

შენიშვნა. დადგენილება ესე არ გავრცელდება სასტამბო შრიფტის სახაზო და ასაწყობი მასალის ოდენობაზე, რის გაზომ-აწონვა მოხდება ამ ჟამად არსებული სისტემით (პუნქტობით).

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესასრულებლად ყველა ზემოაღნიშნული საწარმო მოვალეა ზემოდ განსაზღვრული ვადისათვის იქონიოს მეტრული სისტემის სასწორი, გირები და სხვა საზომ-საწონი შემმოწმებელი პალატის დაღით.

3. ყველგან, სადაც-კი მეტრული საზომ-საწონით ბითუმად გაიყიდება და გაიცემა ქაღალდისა და პოლიგრაფიული მრეწველობის პროდუქტი, თვალსაჩინო ადგილას გამოკიდულ იქნეს არა უგვიანეს ზემოაღნიშნული ვადისა, ოფიციალური ცხრილი რუსულ საზომ-საწონის მეტრულ საზომ-საწონად გადანაცვლებისა.

შენიშვნა. ოფიციალურ ცხრილად ჩაითვლება ცენტრალური მეტრული კომისიისა, ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა და საზომ-საწონთა მთავარი პალატის მიერ დამტკიცებული ცხრილი.

4. დაჭრილი ქაღალდის ოხმად 1927 წ. იანვრის 15-დან უნდა ჩაითვალოს 1000 ფურცელი და ამ ქაღალდის ჩაწყობ-შეხვევა უნდა მოხდეს 1000 ფურცლიან ოხმებად ან ისეთი რაოდენობით, რაც 1000 ეჯერადება (ე. ი. 500 250, 100 ფურც. და სხვ.). თვითეულ ხვეულზე გარკვევით უნდა იყოს დაბეჭდილი: „მეტრული ზომა".

5. მთლად ის ქაღალდი, რაც 1927 წ. იანვრის 1-თვის საწყობებში აღმოჩნდება, შეიძლება გაიყიდოს და გამოყენებულ იქნეს ძველი სახვევით და რაოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობით, ახალ სახვევში გადაუწყობლად 1927 წ. აპრილის 1-დე; ხოლო ამ ვადის შემდეგ ქალაღდის ძველი სახვევით გაყიდვა აკრძალულია.

6. ამა დადგენილების განხორციელება და მისი აღსრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისრება ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და ეკონომიური თათბირების განსაკუთრებულ რწმუნებულთ.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი **გუნცაძე.**
მდივანი **ხარატიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1374 №-ში 1927წ. იანვრის 9-ს.

სავალდებულო დადგენილება № 13 ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისიისა.

1926 წ. დეკემბრის 22.

6. ა/კსფსრ ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საადგილმამულო მეურნეობაში მეტრულ საზომ-საწონთა შემოღების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. ოქტომბრის 29-ს დადგენილების მე-11 §-ს „გ" პუნქ. თანახმად ამიერკავკასიის საუწყებათაშორისო მეტრული კომისია ადგენს:

1. 1927 წ. იანვრის 15-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების საადგილმამულო მეურნეობაში, სიგრძისა და ფართობის გაზომისა და გამოანგარიშებისათვის, შემოღებულ იქნეს მეტრული საზომი და, ამისდაგვარად, აღნიშნული ვადიდან ყოველგვარ საგეგმო დოკუმენტსა, ნახაზსა, ასლსა, აგრეთვე ანგარიშსა, ცნობილებასა, შუამდგომლობასმ, წარდგინებასა, ცნობასა, ხელშეკრულებასა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტსა და ურთიერთ მიმართვაში სიგრძე და ფართობი აღნიშნულ უნდა იქნეს მეტრული ზომით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ვადიდან გადაღება, აგეგმვა, აღნაგობა, საქალაქო მიწების ოჯარით გაცემა და სხვ., ყველა რიცხვობრივი ცნობა სიგრძისა და კვადრატურისა გამოიხატება მეტრული ზომით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ქალაქებისათვის მიწების მიზომვისა და ქალაქის მიჯნის დადგენის დროს საქალაქო მიწების გეგმა შედგენილ უნდა იქნეს მეტრულ სისტემაზე, მასშტაბის სათანადო შეცვლით.

4. ამა დადგენილების გამოქვეყნებისათანავე დაწყებულ უნდა იქნეს თანდათანობითი შეცვლა ქონებული რუსული ზომის ხელსაწყოსი და ინსტრუმენტისა, მეტრულ საზომებად დამზადებულ ინსტრუმენტზე იმ პირობით, რომ 1927 წ. ივლისის 1-თვის ეს შეცვლა სრულიად დამთავრებულ იქნეს.

5. უეკეთუ მეტრულ საზომებად დამზადებული საზომი და აღრიცხვის ინსტრუმენტი, ხელსაწყო ‌ᲓᲐ ცხრილები არ მოიპოვება, ნებადართულია 1927 წ. ოქტომბრის 1-დე გაზომვა რუსული საზომით სწარმოებდეს; ხოლო იმ პირობით-კი, რომ საბოლოო ცნობები სიგრძისა და ფართობის შესახებ, რაც შეტანილ იქნება გეგმებში, პროფილებში, პროექტებში და სხვა, მუშაობის შედეგებთან დაკავშირებულ დოკუმენტებში, აგრეთვე განმარტების წერილში, გამოხატულ იქნეს მეტრული ზომით.

6. მეტრულ ზომით დამზადებული ინსტრუმენტით გადაღების დროს წინანდელი მუშაობის ცნობები, რაც გადაღებისათვის საჭირო იქნება, გადაღებამდე მეტრული სისტემის საზომებზე გადაიტანება, ხოლო ყველა შემდგომი გამოანგარიშება მოხდება მეტრული სისტემის ზომით.

7. ქალაქის საადგილმამულო მეურნეობის ყველა გეგმა, ნახაზი, პროფილი და სხვა დოკუმენტი, რაც ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა განყოფილებების არქივებში ინახება და რაც რუსული საზომებით არის შედგენილი, როდი უნდა იქნეს შევსებული მათში მოთავსებული ცნობების მეტრული სისტემაზე გადატანით.

8. უკეთუ საჭირო იქნება რუსული საზომებით შედგენილი ძველი გეგმისა, ნახაზისა და სხვა დოკუმენტის ასლის თუ ასლის ამონაწერის გამოყენება, საველდებულოა ყველა ამ ზომის მეტრულ ზომებზე გადატანით წარდგენა და ეს ნაჩვენები უნდა იყოს ხსენებულ ასლში თუ ასლის ამონაწერში რუსულ ზომებთან ერთად

9. ამა დადგენილების განხორციელება და მისი აღსრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისრება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირის განსაკუთრებულ რწმუნებულს.

10. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლისამებრ.

ა/კ. საუწყებათაშორისო მეტრული
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ინჟენერი **გუნცაძე.**
მდივანი **ხარატიანი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1374 №-ში 1927 წ. იანვრის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება № 8 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. დეკემბრის 24.

7. ფოთოლ-თამბაქოს საწყობებში სამუშაო დროის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „განსაკუთრებით მავნე სამუშაოთა სიისა და შემოკლებული სამუშაო დღის შესახებ“ 1924 წ. სექტემბრის 11-ს თარიღით გამოცემული (ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონების კრებული, 1926 წლ. გამოცემა, გვ. 294) დადგენილებით თამბაქოს ფაბრიკების წარმოებაში უშუალოდ მოსაქმე ყველა მუშისათვის დაწესებული 7-საათის სამუშაო დღე გავრცელდება ყველა მუდმივ მუშაზე, რომელიც უშუალოდ მოსაქმეობს ფოთოლ-თამბაქოს საწყობში, თუნდაც საწყობი თამბაქოს ფაბრიკის-გარე იყოს.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
შრომის დაცვის განყოფილების გამგე **ნასყიდოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1374 №-ში 1927 წ. იანვრის 9-ს.

დადგენილება № 1 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

8. ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან არსებული პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გამნაწილებელი კომისიების შედგენილობისა, მოქმედების წესისა და ფუნქციების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „უნივერსიტეტებისა, ინსტიტუტებისა და ტენნიკუმების მოსწავლეთათვის საპრაქტიკო ადგილების მიცემისა და აღნიშნული სასწავლებლების სრულ კურსგავლილ პირთათვის სასტაჟო ადგილების მიცემის წესის შესახებ“ 1925 წ. ივნისის 14-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1926 წ. 44 №-რი, მუხ. 320) დადგენილებისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ აღნიშნული დადგენილების დამატების შესახებ 1926 წ. ოქტომბრიის 12-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრებ. 1926 წ. 70 №-რი, მუხ. 536) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მოიწყოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გამნაწილებელი საუწყებათაშორისო კომისია შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების შედგენილობით: ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა (კომისიის თავმჯდომარე), ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სსრკ გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ში) სამმართველოსი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და თითო წარმომადგენელი ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებისა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას დაეკისრება:

ა) დაანწესოს პრაქტიკისა და სტაჟის ადგილების რაოდენობა ა/კსფსრ დაწესებულებათათვის, ფედერატიული მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოთათვის, აგრეთვე იმ კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და საწარმოთათვის, რომელთა წესდებანიც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ორგანოების მიერ, თანაც აღნუსხოს ის პირნი, რომელნიც გაგზავნილ უნდა იქნენ აღნიშნულ დაწესებულებებსა და საწარმოში სტაჟის გასავლელად და პრაქტიკის მოსახდელად;

ბ) აღნუსხოს ის პირნი, რომელნიც გაგზავნილ უნდა იქნენ პრაქტიკის გასავლელად და სტაჟის მოსახდელად სსრკ დაწესებულებებში, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოში, აგრეთვე იმ კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებაში და საწარმოში, რომლის წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრკ ორგანოების მიერ;

გ) განიხილოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების საუწყებათაშორისო კომისიების განცხადებანი პრაქტიკისა და სტაჟის ადგილების შესახებ აღნიშნულ საწარმოთა და დაწესებულებებში (პუნ. „ა“ და „ბ“);

დ) წარადგინოს სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიაში განცხადებანი პრაქტიკისა და სტაჟის გასავლელი ადგილების შესახებ საერთო-საკავშირო დაწესებულებებსა და საწარმოში (პ. „ბ“)

ე) გაანაწილოს ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებ შორის „ა“ და „ბ“ პუნ. აღნიშნული ადგილები;

ვ) განიხილოს შეუთანხმებლობა ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებ შორის და დაინტერესებულ დაწესებულებათა და საწარმოთა შორის (პუნ. „ა“ და „ბ“) პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გაგზავნის საკითხის გამო;

ზ) აღნუსხოს ა/კსფსრ-ში პრაქტიკისა და სტაჟერობის განხორციელებისათვის წარმოებული მუშაობა;

თ) შეასრულოს საერთო-საკავშირო საუწყებათაშორისო კომისიის დავალებანი.

შენიშვნა. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას უფლება აქვს—გასცეს, უკეთუ საჭირო იქნება, სტაჟერობისა და პრაქტიკის ადგილები რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოში და დაწესებულებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. მოეწყოს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გამნაწილებელი საუწყებათაშორისო კომისიები შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების შედგენილობით: შრომის სახალხო კომისარიატისა (კომისიის თავმჯდომარე), პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და განათლების სახალხო კომისარიატისა.

ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას დაეკისრება:

ა) დაიწესოს პრაქტიკისა და სტაჟის ადგილების რაოდენობა უწყებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთათვის, იმათ გარდა, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების 1-ლი მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტებში;

ბ) გაანაწილოს ამ დაწესებულებათა და საწარმოთა შორის პრაქტიკანტები და სტაჟერები;

გ) აღნუსხოს ის პირნი, რომელნიც გაგზავნილ უნდა იქნენ პრაქტიკის გასავლელად და სტაჟის მოსახდელად;

დ) განიხილოს შეუთანხმებლობა განათლების სახალხო კომისარიატსა და დაინტერესებულ საწარმოთა და დაწესებულებათა შორის (პ. „ა“) პრაქტიკანტებისა და სტაჟერების გაგზავნის საკითხის გამო;

ე) აღნუსხოს რესპუბლიკის მასშტაბში პრაქტიკისა და სტაჟერობის განხორციელებისათვის წარმოებული მუშაობა და

ვ) შეასრულოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის დავალებანი.

3. როგორც ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან, ისე ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება, სამის დღის ვადაზე, კომისიაში მონაწილე დაწესებულებას შეუძლიან განაპროტესტის ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირში—კუთვნილებისამებრ.

პროტესტი შეაჩერებს დადგენილების აღსრულებას.

4. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს შეუძლიან გამოსცეს, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან, ა/კსფსრ დაინტერესებულ უწყებებთან და ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

5. ამა დადგენილების საბოლოოდ შემოღებისთანავე გაუქმებულია ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მაისის 25-ს თარიღისა და 29 №-რის დადგენილება „სტუდენტების პრაკტიკანტობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-6 №-რი, მუხ. 437) და წინადადება ეძლევა ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.
თავმჯდომრის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. იანვრის 8. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1375 №-ში 1927 წ. იანვრის 11 ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1116 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

9. ნედლი სპირტის რექტიფიკაციის სასყიდლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების დარღვევის აღმკვეთ ღონისძიებათა შესახებ“ 1925 წ. მაისის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1926-27 საბიუჯეტო წელში დასაწყებნდად ჩაბარებული ნედლი სპირტის რექტიფიკაციის უკიდურეს სასყიდლად ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ტერიტორიაზე ყველა ქარხნისათვის თითო გრადუსზე ოთხი კაპიკი, სამეწარმეო მოგების ჩათვლით.

2. ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1925 წ. სექტემბრის 20-ს თარიღისა და 54 №-რის დადგენილება „ნედლი სპირტის რექტიფიკაციის სასყიდლის შესახებ“ გაუქმებულ იქნეს.

ა/კ. შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისრის მაგიერ **ათაბეკოვი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო
კომისრის მოადგილე **გენკინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1377 №-ში 1927 წ. იანვრის 13-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

10. აღწერაზე დროებით მომუშავეთათვის მისაცემი გასამრჯელოს განთავისუფლების შესახებ სოციალური დაზღვევისა და სტატისტიკური ორგანოების ადგილობრივი კომიტეტების შესანახად გადასადები იანარიცხისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ 1926 წ. ოქტომბრის 27-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1926 წ. მე-11 №-რი, მუხ. 722)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასამატებლად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

განთავისუფლებულ იქნეს აღწერაზე დროებით მომუშავეთათვის მისაცემი გასამრჯელო სოციალური დაზღვევისა და ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოების შესანახად გადასადები ანარიცხისაგან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებული კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. იანვრის 11. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1378 №-ში 1927 წ. იანვრის 14-ს.

დადგენილება № 2 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

11. საწარმოთა ანგარიშებისა და ბალანსების თავისდროზე წარდგენისა და განხილვის შესახებ.

რადგანაც სახელმწიფო, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციათა 1925-26 წლის ანგარიშებისა და ბალანსების თავისდროზე წარდგენას, განხილვას და დამტკიცებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკებისათვის ზემოაღნიშნული ანგარიშებისა და ბალანსების დამტკიცების საბოლოო ვადად 1927 წლის მაისის 1-ლი.

2. დაეკალოს ყველა საჯარო ანგარიშგებავალდებულ საწარმოს წარუდგინოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ—წლიური ანგარიში, ბალანსი და მათი დანართები სამს თვეზე არა უგვიანეს დღიდან საოპერაციო პერიოდის დამთავრებისა; მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება საწარმოს ვადა გადედოს, მაგრამ არა უგვიანეს ხუთი თვისა საოპერაციო პერიოდის დამთავრების დღიდან. საწარმოსთვის ვადის გადადება შეუძლიან ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ან ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს—კუთვნილებისამებრ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ან სხვა შესაფერ სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული ანგარიშებისა და დანართების თავისდროზე წარდგენისათვის დაეკისროს საწარმოს ადმინისტრაციას და მთავარ ბუღჰალტერს.

4. მეთვალყურეობა საწარმოთა მიერ ზემოაღნიშნული მასალების თავისდროზე წარდგენისათვის, აგრეთვე მასალების თავისდროზე წარუდგენლობისათვის დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განუმარტონ სათანადო ეკონომიურ თათბირებს, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიებანი, რათა ბალანსები თავისდროზე იქნეს განხილული ბალანსების განმხილველ საუწყებოთაშორისო კომისიებში და თვით ეკონომიურ თათბირებში, იმ პირობით, რომ 1925-26 წლის ბალანსების განხილვა და დამტკიცება დამთავრებულ იქნეს 1-ლ მუხ. აღნიშნულ ვადაზე; ამასთანავე, ამ ვადაში უნდა ჩაითვალოს ის დროც, რაც დასჭირდება ბალანსების გავლას ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებში.

6. საწარმოთა ბალანსების განხილვისა და დამტკიცების წესისათვის სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-სა, 1926 წ. მარტის 18-სა და 1926 წ. აპრილის 6-ს დადგენილებანი—(ა/კსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411; 1926 წ. მე-3 №-რი, მუხ. 618 და 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 644).

7. მოგების განსაზღვრისა და განაწილებისათვის საუწყებოთაშორისო კომისიებმა და ეკონომიურმა თათბირებმა მხედველობაში უნდა მიიღონ თვითეული საწარმოს ფინანსიური მდგომარეობა, რაც გამორკვეულ უნდა იქნეს წლიური ანგარიშებისა და ბალანსების ზედმიწევნითი ანალიზით; ამასთანავე სრულიად უარყოფილ უნდა იქნეს სისტემა საბიუჯეტო დანიშნულების საწარმოთა შორის განაწილებისა.

8. საწარმოს მოგების გამორკვევასთან ერთად საუწყებათაშორისო კომისია განსაზღვრავს აგრეთვე საწარმოს მიერ გასაცემი საშემოსავლო გადასახადისა და ამ გადასახადის ადგილობრივი ზედნართის რაოდენობას, რისთვისაც იგი იხელმძღვანელებს მე-4 და 5 მუხ. სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. ოქტომბრის 15-ს დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული დებულებისას „სახელმწიფო საწარმოთა, კოოპერატიულ ორგანიზაციათა და სახელმწიფო და კოოპერატიულ კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (სსრკ კან. კრ.1926 წ. 68-№-რი, მუხ. 524).

9. საშემოსავლო გადასახადისა და მისი ადგილობრივი ზედნართის გამოკლების შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგება განაწილებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-სა (კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411) და 1926 წ. აპრილის 6-ს (კან. კრ. 1926 წ. მ-4 №-რი, მუხ. 644) დადგენილებათა მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. წინა მუხლში აღნიშნული წესით მოგების განაწილებამდე ხარჯის გაწევა მოგების ანგარიშზე საწარმოს შეუძლიან მხოლოდ სსრკ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1926 წ. თებერვლის 24 დადგენილების მიხედვით (ზთს 1926 წ. ოქმი, № 219, მუხ. 25), ე. ი. თვითეულ შემთხვევაში ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან (კუთვნილებისამებრ) შეთანხმებით.

11. საუწყებათაშორისო კომისიაში მომდარი შეუთანხმებლობა საწარმოს მოგების განსაზღვრის გამო და ამ შეუთანხმებლობის ა/კსსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში ან ა/კსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიურ თათბირში გადატანა ვერ შეაჩერებს მოგების დანიშნულებისამებრ დახარჯვას იმ თანხების ფარგლებში, რაც უმცირესი რაოდენობით განცხადებულ იქნა შეთანხმების დროს, კერძოდ— ხაზინის შემოსავალში საწარმოს მოგების ანარიცხების შეტანას.

12. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-სა (კან. კრ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411) და 1926 წ. აპრილის 6-სა (კან. კრ. 1926 წ. მე-4 №-რი, მუხ. 644) დადგენილებანი, ბალენსების განხილვის წესის სფეროში, გავრცელებულ იქნეს აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციებზე და საკრედიტო დაწესებულებებზე.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1927 წ. იანვრის 12. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1379 №-ში 1927 წ. იანვრის 15-ს.

ტფილისი ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. პლენან. პრ. № 91.

21/II შეკ. № 617/4334. მთავარლიტი № 328. დაიბეჭდა 1000.